ცვლილებები შეტანილია
საქართველოს რაგბის კავშირის
პრეზიდენტის 2010 წლის 5 აგვისტოს
№ --- ბრძანებით

სადისციპლინო კოდექსი

დისციპლინარული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სადისციპლინო კოდექსის ახალი რედაქცია, ითვალისწინებს რა შიდა ეროვნული შეჯიბრების პროცესში დისციპლინარულ დარღვევათა სპეციფიკას, ისახავს მიზნად რაგბის თამაშის პროცესის ისეთ რეჟიმში გადაყვანას, როცა მსაჯების, მეტოქე გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელების და ხელმძღვანელების ძალისხმევა, ქმედებები და ემოციები ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ რაგბის თამაშის უშეღავათო ორთაბრძოლის პირობებში დაცული იქნას რაგბის თამაშის ყველა განსაზღვრული და დამკვიდრებული დაუწერელი თუ დაწერილი წესი.

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულება აუცილებელია სრკ-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში, მათ შორის სეზონისწინა ტესტ-მატჩებშიც მონაწილე ყველა კავშირის წევრი სუბიექტისთვის: კლუბები (გუნდი), კლუბის პრეზიდენტები, მწვრთნელები, მსაჯები, მეთვალყურეები, მოთამაშეები.

დისციპლინარული კოდექსი მოქმედებს თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, თამაშის დროს და თამაშის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ.

ამ კოდექსში წარმომადგენლად ითვლება კლუბში დასაქმებული ნებისმიერი პირი.

<u>სათამაშო კვირად ითვლება პერიოდი, როდესაც მიმდინარეობს სრკ-ს ეგიდით გამართული ტურნირები, საერთაშორისო მატჩები. (1 (ერთი) სათამაშო კვირა ტოლია 7 (შვიდი) კალენდარული დღისა)</u>

<u>ამ კოდექსში ნაკრების (ნაკრებების) წევრებად ითვლება მოთამაშე, რომელიც ბოლო 2 სანაკრებო 22-კაციან განაცხადში იყო შეყვანილი.</u>

სადისციპლინო კომისია შედგება ექვსი უფლებამოსილი წევრისგან. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სრკ-ს პრეზიდენტი.

1. კლუბის (გუნდის), მწვრთნელების და კლუბის (გუნდის) წარმომადგენლების მიერ:

1.1 თამაშის მსვლელობის დროს აგრესიული, არაეთიკური და არასპორტული საქციელის გამოვლენა, ასევე პროვოცირება თამაშის მონაწილეების, მაყურებლების, მსაჯების, გუნდების წარმომადგენლების, კავშირის წარმომადგენლების მიმართ, არაკორექტული აპელირება მსაჯის გადაწყვეტილებაზე საჯაროდ, ისჯება დისკვალიფიკაციით 3 (სამი) ***<u>სათამაშო კვირით</u>*** და ფულადი ჯარიმით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

1.2 მსაჯის სიტყვიერი შეურაცყოფა ისჯება დისკვალიფიკაციით ერთი წლით, ხოლო კლუბი (გუნდი) ჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარით.

1.3 მსაჯის ფიზიკური შეურაცყოფა ისჯება დისკვალიფიკაციით 5 (ხუთი) წლით, ხოლო კლუბი (გუნდი) ჯარიმდება 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

1.4 დისკვალიფიცირებულ მწვრთნელს თამაშის დროს ეკრძალება ყოველგვარი კონტაქტი გუნდთან (კერძოდ, სათადარიგო სკამზე ჯდომა,

მატჩის განმავლობაში გუნდთან კონტაქტი). ამ მუხლის დარღვევის შემთხვევაში გუნდს მიესჯება წაგება, ხოლო კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

1.5 მატჩზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება, დააკლდება ერთი ქულა, ხოლო კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 1 000 (ათასი) ლარით. განმეორების შემთხვევაში გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან, დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით და რაგბის კავშირი იმსჯელებს ამ კლუბის (გუნდი) შემდგომ სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მიზანშეწონილობაზე.

1.6 საშეჯიბრო განაცხადში არმყოფი მორაგბის თამაშისათვის გუნდს მიესჯება წაგება, დააკლდება ერთი ქულა, ხოლო კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

1.7 თუ კალენდარული მატჩის განაცხადში შეყვანილია მორაგბე, რომელსაც არ ჰქონდა მატჩში მონაწილეობის უფლება, გუნდი დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით, ჩაეთვლება წაგება და დააკლდება ერთი ქულა.

1.8 ***<u>თამაშის ჩაშლის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია სათამაშო მაისურის ფერის არჩევისას გაუგებრობით</u>*** (იხილეთ საშეჯიბრო დებულების 5 მუხლის 21 პუნქტი), ***<u>პასუხისმგებლობა დაეკისრება მასპინძელი გუნდს,</u>*** დაჯარიმდება 1 000 (ათასი) ლარით და ჩაეთვლება წაგება კონკრეტულ მატჩში.

1.9 თუ მოასპარეზე გუნდები მატჩის შედეგზე ერთმანეთს გაურიგდებიან, აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში ორივე გუნდი მოიხსნება შეჯიბრებიდან, ხოლო კლუბები (გუნდები) დაჯარიმდებიან 5 000 (ხუთი ათასი) ლარით თითოეული და ამ კლუბების (გუნდების) ქართულ რაგბის სამყაროში ყოფნა გახდება რაგბის კავშირის განსჯის საგანი.

1.10 გუნდს, რომლის არასაპატიო მიზეზითაც, თამაშის დაწყება შეფერხდება 30 წუთზე მეტ ხანს, ჩაეთვლება წაგება, დააკლდება ერთი ქულა, ხოლო კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

1.11 თამაშის ჩაშლის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია მასპინძელი გუნდის მიერ დადგენილი წესის მიხედვით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევით, (იხილეთ დებულების მუხლი 5. პარ.25) გუნდს ჩაეთვლება წაგება, დააკლდება საცხრილო ერთი ქულა, ხოლო კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

1.12 თუ თამაში ჩაიშლება, რომელიმე გუნდის მოთამაშის (მოთამაშეების) ან მწვრთნელის (მწვრთნელების) ან გულშემატკივრის (გულშემატკივრების) მიზეზით, გუნდს ჩაეთვლება წაგება, დააკლდება ერთი ქულა, ხოლო კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 2000 (ორი ათასი) ლარით. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამგეობა იმსჯელებს რომელიმე გუნდის სტადიონის დისკვალიფიკაციაზე

1.13 გადაზრდილი მოთამაშის მატჩში მონაწილეობის შემთხვევაში, კლუბი (გუნდი) დაჯარიმდება 3 000 (სამი ათასი) ლარით, ხოლო გუნდის მწვრთნელს, მიეცემა დისკვალიფიკაცია 2 (ორი) წლით, გუნდს ყველა იმ მატჩში, რომელშიც ამ მოთამაშემ ითამაშა ჩაეთვლება წაგება.

1.14 იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე დისკვალიფიკაციის პერიოდში სხვისი გვარით ითამაშებს, გუნდის მწვრთნელს მიეცემა დისკვალიფიკაცია 5 (ხუთი) ***<u>სათამაშო კვირით</u>*** და კლუბი დაჯარიმდება 1 000 (ათასი) ლარით.

1.15 გუნდი, რომელიც დაარღვევს საშეჯიბრო დებულების 5 მუხლის 20 პუნქტს, სათამაშო ფორმის შეუსაბამობის შესახებ, პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 100 (ასი) ლარით თითოეულ დარღვევაზე (სხვა ფერის შორტი, გამაში ან მაისური, მაისურზე ნომრის არ ქონა). ყველა შემდგომ დარღვევაზე ჯარიმა გაორმაგდება გეომეტრიული პროგრესით.

1.16 მოთამაშეთა შეცლის წესების (იხ. „რაგბის წესები“ 3.4-დან 3.13-ის ჩათვლით) დარღვევისთვის გუნდს მიესჯება წაგება, დააკლდება ერთი ქულა.

2. მორაგბეების მიერ

ა) სადისციპლინო სანქციები კაცთა გუნდის წევრებისთვის:

2.1. ხელოვნურ საფარიან მინდორზე “რკინის შიპებიანი” ბუცებით თამაშისთვის, კლუბი თითოეული წესის დამრღვევ მოთამაშეზე დაჯარიმდება 1 000 (ათასი) ლარით.

2.2. რაგბის კავშირის ოფიციალური პირის, მსაჯის, მეთვალყურის სიტყვიერი და უცენზურო ჟესტით შეურაცყოფა ისჯება დისკვალიფიკაციით 10 (ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი (გუნდი) ჯარიმდება 1 000 (ათასი) ლარით.

2.2.1. მორაგბის ან/და მაყურებლის სიტყვიერი და უცენზურო ჟესტით შეურაცყოფა ისჯება დისკვალიფიკაციით 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი (გუნდი) ჯარიმდება 300 (სამასი) ლარით.

2.3. მსაჯის ფიზიკური შეურაცყოფა ისჯება დისკვალიფიკაციით 5 (ხუთი) კალენდარული წლით, კლუბი (გუნდი) ჯარიმდება 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

2.4. მსაჯთან გაუთავებელი კამათი, უდიერი, აგრესიული, შეურაცხმყოფელი საქციელი მსაჯების, სრკ-ს ოფიციალური წარმომადგენლების და მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლების მიმართ (აგრესიის გამოხატვა, ფიზიკური შეურაცხყოფის იმიტაცია, ბილწსიტყვაობა, მატჩის პროტესტის ნიშნად დატოვება) ისჯება დისკვალიფიკაციით 3 (სამი) ***სათამაშო კვირით*** და ფულადი ჯარიმით 200 (ორასი) ლარით.

2.5. თამაშის დროს კონფლიქტის მაპროვოცირებელი მორაგბე ისჯება დისკვალიფიკაციით 2 (ორი) ***სათამაშო კვირით.***

2.6. ***მეტოქისთვის შეგნებულად ტრამვის მიყენება ისჯება დისკვალიფიკაციით 2-10 სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი (გუნდი) ჯარიმდება 200-1000 ლარით.***“

2.6.1. წითელი ბარათის მიმღები მოთამაშე ისჯება მინიმუმ 1 (ერთი) ***სათამაშო კვირის*** გამოტოვებით. (ერთ თამაშში მიღებული ორი ყვითელი ბარათი უტოლდება ერთ წითელ ბარათს)

2.7. მოთამაშის მიმართ დისციპლინარული სანქცია გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მსაჯებმა ვერ შენიშნეს მოთამაშის მიერ ჩადენილი არასპორტული საქციელი და ვერ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოთამაშის მიერ ჩადენილი არასპორტული საქციელი დადასტურებული უნდა იყოს მეთვალყურის ან სრკ-ს სხვა ოფიციალური პირების წერილობითი განმარტებებით ან შესაბამისი ვიდეომასალით.

2.8. ერთ-ერთ ლიგაში მიღებული სადისციპლინო სასჯელი ავტომატურად მოქმედებს სხვა დანარჩენ ლიგებშიც

2.8.1. მოთამაშეს სხვა გუნდში გადასვლისას თან გადაჰყვება დისციპლინარული სასჯელი.

2.9. სათადარიგო მოთამაშეების ან კლუბის წარმომადგენლის მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე გასვლა მატჩის მსვლელობაში თამაშში მონაწილეობის, ან წარმოქმნილ კონფლიქტში მონაწილეობისათვის ისჯება დისკვალიფიკაციით 1-დან 5 -მდე ***სათამაშო კვირით.***

2.10. კლუბი (გუნდი), მწვრთნელები და კლუბის (გუნდის) წარმომადგენლები, რომელიც არ დაემორჩილება საშეჯიბრო დებულების 6 მუხლის 3 პუნქტის მოთხოვნას, მისთვის დოპინგ ტესტის ჩატარების შესახებ, ავტომატურად დისკვალიფიცირებულია 5 (ხუთი) ***სათამაშო კვირით***, განმეორებით დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასჯელი ორმაგდება.

მოთამაშე, რომლის ანალიზშიც დაფიქსირდება დადებითი შედეგი, დაისჯება „მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის“ შესაბამისად, რომელიც აღიარებულია IRB-ისა და სრკ-ს მიერ (იხ. „ანტიდოპინგური კოდექსი“)

ბ) ჭაბუკთა ლიგებში მონაწილე გუნდების წევრებისთვის:

2.11. ჭაბუკთა ლიგებში მონაწილე გუნდის მოთამაშის მიერ II თავის (ა) ნაწილში მითითებული ამა თუ იმ დარღვევის შემთხვევაში, მოთამაშე ისჯება ზემოთ მითითებული შესაბამისი სადისციპლინო სანქციით, ხოლო ფულადი ჯარიმის ოდენობა მცირდება 1/3-მდე.

3. თამაშის შედეგის გასაჩივრების (პროტესტის) პირობები:

3.1. მომჩივანი გუნდის ოფიციალურმა წარმომადგენელმა თამაშის დამთავრების შემდეგ 1 საათის განმავლობაში უნდა შეიტანოს პროტესტი თამაშის ოქმში.

3.2. თამაშის შედეგის გაპროტესტების მოტივაციად შეიძლება ჩაითვალოს:
მატჩის თამაშის წესებით რეგლამენტირებულ დროზე ადრე დამთავრება; არაობიექტური მსაჯობა; განაცხადში არ მყოფი, ზედმეტი, დისკვალიფიცირებული ან გადაზრდილი მორაგბის თამაში. სხვა შემთხვევაში პროტესტი არ განიხილება.

3.3. პროტესტის განსახილველად თამაშის დამთავრებისთანავე 1 საათის განმავლობაში მომჩივანმა პროტესტი უნდა შეიტანოს თამაშის ოქმში, ხოლო 24 საათის განმავლობაში (პირველივე მომდევნო სამუშაო დღეს) საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე უნდა შევიდეს განცხადება და სადეპოზიტო 100 (ასი) ლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტი არ განიხილება.
პროტესტის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სადეპოზიტო თანხა უბრუნდება მომჩივანს.

3.4. ჯარიმის გადახდის ვადა:
სადისციპლინო კომისიის მიერ დადგენილი ფულადი ჯარიმის ვადა უნდა იქნეს მითითებული კომისიის გადაწყვეტილებაში და მისი გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს და არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები.

3.5. სადისციპლინო დებულების 3.4. პუნქტის მიხედვით სადისციპლინო კომისიის მიერ განსაზღვრული ჯარიმის გადახდის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბს (გუნდს) უორმაგდება ჯარიმის ოდენობა, მიეცემა 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადა ჯარიმის გადასახდელად და არ დაიშვება შეჯიბრზე ჯარიმის გადახდამდე. თუ კლუბმა (გუნდმა) ამ შემთხვევაშიც არ დაფარა საჯარიმო თანხა, იგი მოიხსნება შეჯიბრებიდან. თუ ამ 5 კალენდარული დღის განმავლობაში ტარდება საშეჯიბრო ტური, გუნდს ჩაეთვლება წაგება.

4. სადისციპლინო კომისიის სხდომის ჩატარების რეგლამენტი და უფლებამოვალეობები

4.1. სადისციპლინო კომისიის სხდომა ტარდება ყოველი ტურის დამთავრებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა *(შვიდკაცა ტურნირის დროს სადისციპლინო კომისისს სხდომა ტარდება სათამაშო დღის ბოლოს)*. კომისიის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა შეხვედრის მსაჯებისა და მეთვალყურეებისთვის.

4.2. კომისია განიხილავს დისციპინარული დარღვევის საკითხებს სრკ-ის ოფიციალურ პირთა (ხელმძღვანელ პირთა, გამგეობის წევრების,

კომიტეტების თავმჯდომარეთა, კომისიის წევრთა, მსაჯთა, მეთვალყურეთა და კლუბების (გუნდების) ხელმძღვანელთა) მიმართვის საფუძველზე.

კომისია გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს თამაშის ოქმით, მსაჯების, მეთვალყურის, სრკ-ს ოფიციალურ პირთა წერილობითი, ვიდეო - აუდიო ინფორმაციით და სხვა მის ხელთ არსებული მასალებით, რომელთა მოპოვება განხორციელდა კანონიერად, ინფორმაციის წყაროს მითითებითა და ამ უკანასკნელის იდენტიფიცირების შესაძლებლობით

4.2.1. სადისციპლინო კომისია დამრღვევის მიმართ სანქციის გამოტანამდე როგორც წესი, მოითხოვს დამრღვევისაგან განმარტებას დარღვევის ფაქტობრივი გარემოებების, მისის გამომწვევი მიზეზების დასადგენად. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია დაიბაროს და გამოკითხოს ნებისმიერი დარღვევის თვითმხილველი

4.3. *ისეთი დარღვევების შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებული არ არის სადისციპლინო კოდექსით, მათ შორის სატრანსფერო დებულების დარღვევით, სრკ-ის პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე გადაწყვეტილებას დამრღვევი პირის მიმართ, დარღვევის ხასიათისა და მისგან გამომდინარე შედეგების გათვალისწინებით ღებულობს სრკ-ის გამგეობა და დარღვევის ხასიათი სიმძიმის და მისი ნეგატიური შედეგების სავალდებულო განმარტებით განსაზღვრავს რომელიმე ქვემოთმოყვანილ დისციპლინარულ სანქციას:*

ა/ გაფრთხილება.;

ბ/ რეალური და/ან პირობითი ვადიანი დიკვალიფიკაცია;

გ/ ფულადი სანქცია;

დ/ უვადო დისკვალიფიკაცია.

გამგეობა უფლებამოსილია, გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყენოს სხვა სახის სანქცია, რაც აუცილებელი იქნება კავშირის მიზნების შესასრულებლად და სამართლიანი თამაშის წესების დასამკვიდრებლად

4.4. სადისციპლინო კომისია დისკვალიფიკაციის ვადების შემცირებას ან მოხსნას არ განიხილავს. სრკ-ს პრეზიდენტი და გამგეობა უფლებამოსილია განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაგბის ინტერესებიდან გამომდინარე გადახედოს დისკვალიფიკაციის პირობებს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება

4.5. მიღებული დისკვალიფიკაცია გადადის მომდევნო სეზონში.

4.6. სადისციპლინო კომისია განიხილავს მსაჯის და მეთვალყურის მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მართებულობას და რეკომენდაციით მიმართავს საშეჯიბრო კომიტეტს.

4.7. სადისციპლინო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. თანაბარი ხმების დაგროვების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4.8 საკითხის ხელმეორედ შესწავლა შეიძლება ჩატარდეს ახალი გარემოებებისა და ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ კომისიის გადაწყვეტილებაზე. საკითხის ხელმეორედ შესწავლის დაწყებისათვის საჭიროა სრკ-ს პრეზიდენტის თანხმობა.

4.9. ნებისმიერ დოკუმენტს, რომელსაც სადისციპლინო კომისია მიიღებს, დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარის ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გარეშე იურიდიული ძალა არ ექნება.